ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3356864

ნომერი: AR1516672

თარიღი : 22.06.2017

გაცემის თარიღი : 28.06.2017

გაცნობის თარიღი : 28.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი,ქუჩა პუშკინის N15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა გოგუაძე პ/ნ 01003002795
- თბილისი მუხიანი II მ/რ კორ. 22 ბ. 119

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

განაცხადის სტატუსი შუალედური

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 22 ივნისის 2017 წლის #AR1516672 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისისრაიონში,ქუჩა პუშკინის N15-ის მიმდებარედ საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით წერილობითი ნებართვის გაცემას გაცნობებთ , რომ სამსახურს დამატებით ესაჭიროება დეტალური გენგეგმა მაგიდა, სკამების და

საკადასტრო საზღვრების (ზომებისა და გაბარიტების ჩვენებით, ფართის მითითებით.) დატანით. ვინაიდან, დაუდგენელია თუ საიდან უნდა მოხდეს ღია სეზონურ კაფესთან მომსახურეობა, გამომდინარე აქედან გთხოვთ დააზუსტოთ აღნიშნული და წარმოადგინოთ იმ ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი საიდანაც მოხდება კაფესთან მომსახურეობა და ფართის მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა. ასევე, საჭიროა წარმოადგინოთ გაუმჯობესებული დიზაინის ფოტომონტაჟი მაგიდა და სკამების განთავსებით. ამასთან გაცნობებთ, რომ დამატებით წარმოსადგენი იქნება შესაბამისი თანხმობა სსიპ „ქონების მართვის სააგენტო“-დან იმ ფართის გამოყენებაზე, სადაც უნდა მოხდეს ღია საზაფხულო კაფის მოწყობა, ან უნდა მოხდეს ტერიტორიის იჯარის წესით აღება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების გაცნობიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში, მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.